ხაშურის მოამბე

№22 (103) 5 ივნისი, ორშაბათი, 2017 წელი

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შიდა ქართლისა და პომორსკის (ლიტვა) რეგიონებს შორის

შიდა ქართლის რწმუნებულმა – გუბერნატორმა, კახა სამხარაძემ სამხარეო ადმინისტრაციაში უკრაინის, პოლონეთის, ლიტვისა და ლატვიის წარმომადგენლობას უმსაპინძლა. უცხოელი სტუმრები შიდა ქართლში საერთაშორისო ფორუმის ფარგლებში იმყოფებიან და ადგილობრივ ხელისუფლებას ფონდების მოძიების მიმართულებით საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ. შეხვედრაზე გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი შიდა ქართლსა და პომორსკის რეგიონებს შორის, რომელსაც ხელი კახა სამხარაძემ და პომორსკის რეგიონის მარშალმა, ვიეჩისლავ სტრუკმა მოაწერეს. მემორანდუმის ფარგლებში, პოლონეთის მხარე მზად არის საქართველოს გაუზიაროს გამოცდილება თვითმართველობის საკითხთან დაკავშირებით. მემორანდუმი, ასევე სამომავლოდ გაცვლით სასწავლო ვიზიტებს, კულტურული და შემოქმედებითი ერთობლივი პროექტების განხორციელებას გულისხმობს„ მოხარული ვარ, რომ შიდა ქართლში კვლავ ვმასპინძლობთ რიგით მეორე საერთაშორისო ფორუმს, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთს გავუზიარებთ საკუთარ გამოცდილებას ფონდების მოძიების მიმართულებით. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა გულისხმობს ხელმისაწვდომობის ზრდას ევროპულ ფონდებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან. ვიმედოვნებ, რომ პროდუქტიული ოთხი დღე გველის წინ, რომელიც შემდგომში სასურველ შედეგს მოგვიტანს რეგიონისა და ქვეყნის განვითარებისთვის.“ – აღნიშნა რწმუნებულმა.

ახალი რეკრეაციული ზონის პროექტის პრეზენტაცია

გასულ კვირას, ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე ახალი რეკრეაციული ზონის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი, ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გიედრიუს პუოჯუნასი, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საქართველოში ლიტვის საელჩოს თანამშრომლები, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, ხაშურის სკოლების მოსწავლეახალგაზრდობა.

მოქალაქეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა და ლიტვის ელჩმა. მათ ხაზი გაუსვეს რეკრეაციული ზონის მშენებლობის მნიშვნელობას ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ერთობლივი პროექტების წვლილს ორ ქვეყენას შორის ურთიერთობის გაღრმავების საქმეში.

მოწვეულმა ლიტველმა არქიტექტორმა მოსახლეობას რეკრეაციული ზონის პროექტის დეტალები გააცნო და მათს შეკითხვებსაც უპასუხა.

შეხვედრის ბოლოს გაიმართა კონცერტი ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით. შეხვედრა ლიტვის საელჩოს მიერ მოწყობილი პიკნიკით დასრულდა.

ლიტვის რესპუბლიკის საელჩოს ინიციატივით და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის აქტიური ჩართულობით, ქალაქ ხაშურში (ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე) მოეწყობა რეკრეაციული ზონა, რომელიც იქნება ლიტველი მეგობრების ერთგვარი საჩუქარი ქალაქ ხაშურის მოსახლეობისთვის.

ახალი რეკრეაციული ზონა (დასასვენებელი პარკი), მომავალი წლისთვის გაიხსნება და ორი ქვეყნის - ლიტვისა და საქართველოს დამოუკიდებლობის საიუბილეო წელს მიეძღვნება.

- ნახევრადხუმრობით -

გვჭირდება, საერთოდ, პრეზიდენტი?

ახალი კონსტიტუციის იმ მუხლზე, სადაც ქვეყნის პრეზიდენტის არჩევაზეა საუბარი, იმხელა პოლემიკაა ატეხილი, ლამის მთელი საქართველო ჩაერთოს და არის ერთი გაწევ-გამოწევა. რადა დაგიმალოთ და მე ჩემი მოსაზრება მაქვს და ახლავე გაახლებთ „უსტარს“ ამის შესახებ.

მივყვეთ თავიდან.

პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, ქართველმა ხალხმა 1991 წლის მარტში აირჩია უმაღლეს თანამდებობაზე. ღმერთმანი, არაფერი მისი საწინააღმდეგო არ მაქვს და უფალმა გაანათლოს მისი სული, მაგრამ ფაქტია, მისი მმართველობის პერიოდში, საქართველო ორად გაიხლიჩა და ძმათამკვლელ ომში ათასობით ქართველის სისხლი დაიღვარა. გამსახურდია შევარდნაძემ შეცვალა და ათი წლის განმავლობაში ჩვენი სამშობლო ლამის პირველყოფილ თემური წყობილებაში დაგვაბრუნა. ელექტროენერგია საერთოდ გაქრა თვალსაწიერიდან, კორუფცია პირდაპირ ხელოვნების დონეზე ავიდა, ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა ყოველდღიური მოვლენა გახდა და აფხაზეთიც, ეს ძირძველი ქართული მიწა, „ფუკასავით“ აგვაცალა რუსეთმა ხელიდან. ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, ეს მოხდა სწორედ მესამე პრეზიდენტის შემთხვევაში. 2003 წელს გრიალით და ტაშისკვრით არჩეულმა სააკაშვილმა ისეთი ტრანსფორმირება განიცადა, ნახევარი საქართველო ხომ ციხეებში გამოკეტა, მეორე ნახევარი, არ ვაჭარბებ, მორალურად, სულიერად და ფიზიკურად გააუპატიურა. კორუფცია ვითომ მოისპო და სინამდვილეში უფრო უარესი-ელიტური კორუფცია ააყვავა. საქართველოში თუ ვინმე ლამაზი ქალბატონი დაიგულა, ყველა თავისი ჰარამხანის ხასად აქცია. ბოლო „თაიგული“ კი სამაჩაბლოს რუსეთისათვის მირთმევა იყო. 2013 წელს, რომ ვიფიქრეთ, აგერ გვეშველა, როგორც იქნა მოვიშორეთ თავიდან საკიანთ შეშლილი ყაზილარი, არავინ რომ არ ელოდა, ისეთი რამ მოხდა. მე მგონი, არ ვცდები და მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში, ალბათ არც იქნება მსგავსი ფაქტი, როდესაც პრეზიდენტი, ფაქტობრივად, არჩევიდან მეორე დღეს, საკუთარ გუნდს დაუპირისპირდა. ისე დააბრმავა ნახევარმილიარდიანი სასახლის ბრწყინვალებამ, თითქოს ბურბონების შთამომავალი იყოს და მთელი ცხოვრება ლუვრს იქით ფეხი არ დაუდგამს, აქედან მკვდარს თუ გამიყვანენ, თორემ ცოცხალი როგორ გამოვალო და მთელი პრეზიდენტობის პერიოდი „ვეტოებით“ და „მდიდარი სექსუალური ცხოვრებით“ ერთობოდა.

მოკლედ ოთხი პრეზიდენტი „მოვინელეთ“ და მე, პირადად, გრიშა „მონტიორის“ უფრო მადლიერი ვარ, ჩემს ქუჩაზე გადამწვარ ნათურებს მეორე დღესვე რომ ცვლის, ვიდრე ამ ოთხეულის ერთად აღებული.

ახლა ვსვამ ლეგიტიმურ კითხვას, რომელსაც არსებობის უფლება, რა თქმა უნდა, აქვს: გვჭირდება, საერთოდ, პრეზიდენტი? ერთი უპრეზიდენტობაც ვცადოთ და, დამერწმუნეთ, ამ შემთხვევაში, იმაზე ბევრად ნაკლები უბედურება გველის, ვიდრე ამ ოთხეულმა დაგვატეხა თავზე.

ექსპერიმენტების და რეფორმების ქვეყანა ვართ და ეგებ, ამ ექსპერიმენტმა ყველაზე მეტად გაგვიმართლოს?!

გ. გოგოლაძე

- პ ო ლ ე მ ი კ ა -

„ხაშურის მოამბეში" გამოქვეყნებული ერთი წერილის გამო

ამ წლის 24 აპრილს „ხაშურის მოამბეში" გამოქვეყნდა სამართლის პროფესორის ბატონ ამირან კურტანიძის საინტერესო კვლევა „მემკვიდრისა და მემკვიდრეობის საკითხი „ვეფხისტყაოსანში". ვერ ვიტყვი წერილი არ მომეწონაო, მაგრამ მეორედ და მესამედ წაკითხვის შემდეგ, უკმარისობის გრძნობა გამიჩნდა. ზოგიერთი დებულება მიუღებლად მივიჩნიე. თუ რატომ სწორედ ამას მოგახსენებთ. მივყვეთ ავტორის აღმოჩენებს.

წერილის დასაწყისშივე ავტორი გვაცნობს, რომ „ვეფხისტყაოსანი „აღმოსავლური ყაიდის პოემაა. ეს, ასე არ არის „ვეფხისტყაოსანი" შუა საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის პოემაა. მისი სულიერი განწყობილებანი და იდეური მემკვიდრეობანი რენესანსის ძირითად დამახასიათებელ ნიშან-თვისებად არის მიჩნეული. ამიტომ ითვლება იგი ევროპული რენესანსის წინამორბედად. თუმცა არ უარვყოფ, რომ არაბული კულტურის გავლენაც შეინიშნება.

თურმე პოემაში „სადევგმირო და სატრფიალო მოტივებია უმთავრესი". მაპატიოს ავტორმა, მაგრამ ასე აგდებულად არ შეიძლება ვისაუბროთ პოემაზე, რომლის სიუჟეტის ნამდვილი ხერხემალი და პოემის იდეური შინაარსის მთავარი ღერძი სიყვარული და მეგობრობაა. სატრფიალო ეპიზოდიც არის – ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობა.

რაც შეეხება საკითხს, რომ ტარიელი, ნესტანის მსგავსად, ტახტის მთავარი მემკვიდრეა, მე სხვანაირად ვფიქრობ, ფარსადანი ტარიელს ქვეშევრდომად მიიჩნევს. ეს იქიდან ჩანს, რომ სასიძოსთან ტარიელის მიგებება საჭიროდ არ ჩათვალა. ვფიქრობ ფარსადანი, ან არ ენდობა მას და ეშინია რამე არ მოიმოქმედოს, ან ფარსადანს სასიძოსთან ტარიელის მიგებება აუცილებლად არ მიაჩნია, რადგან ტარიელი და ხვარაზმშას შვილი სხვადასხვა სტატუსის მქონენი არიან. ტარიელი სასიძოს ჩამოუვარდება სტატუსით, რადგანაც ხვარაზმშა მეფის შვილია.

როსტევანი თავისი სიბრძნით და სიახლის შეგრძნებით ბევრად აღემატება ფარსადანს. ეს უკანასკნელი მემკვიდრედ მხოლოდ ვაჟს მიიჩნევს. მეფე-დედოფალი ხვარაზმელ მეფეს უთვლიან:

„არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე გასათხოელი."

ეი ნესტან-დარეჯანი გასათხოვარი არ არის, ზედსიძე ინდოეთში უნდა მოვიდეს, რაც გამოიხატება სიტყვით „საძეო." შეიძლება ეს სიტყვა ნესტან-დარეჯანს ტახტის მომავალი მემკვიდრის გაჩენის ფუნქციას აკისრებს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფარსადანს შვილივით გაზრდილი ტარიელი სასიძოდ ვერ წარმოუდგენია. მას ისინი და-ძმად მიაჩნია. ფარსადანს ხომ ტარიელი შვილივით ჰყავდა გაზრდილი. ამიტომ დაუშვებლად მიაჩნია მათი ქორწილი. გავიხსენოთ რას ეუბნება ფარსადანი ტარიელს ქორწილის სამზადისში.

„გადავიხადოთ ქორწილი ჰხამს ვითა დასა სრულია."

ტაეპის აზრი ნათელია: ნესტანს ისეთი ქორწილი გადავუხადოთ, როგორც დას ეკუთვნის ძმისაგან. მხოლოდ სასიძოს მოკვლის შემდეგ აღიარა ფარსადანმა... „ვიცი, ვიცი მეტად კარგად შემიგნიან, მას უყვარდა ქალი ჩემი სისხლნი ველთა მოუძღვრიან." თავის აღზრდილს კი მკაცრი განაჩენი გამოუტანა

„მე ბერსა შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე,
დღედ სიკვდილამდის შენიცა თავი არ მაახლებინე."

ფაქტობრივად, ტარიელი ინდოეთიდან გააძევა.

ვეთანხმები ავტორს ფარსადანი იმპერატორის ტიპია. „ხარბი" და „გაუძღომელი". იგი თავისი პოლიტიკური გავლენის გაფართოებას ფიქრობს, თანაც მკაცრი და შეუვალია. ეს მისი დახასიათებიდან ჩანს:



„უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი"

შეადარეთ როსტევანს: „მაღალი, უხვი მდაბალი... განგებიანი, მოსამართლე და მოწყალე"

ფარსადანს იმპერიის გაფართოება სურს. შეყვარებულები კი სხვაგვარად აღიქვამენ. ისინი ხორეზმის – სპარსეთის წინააღმდეგი არიან და შიშობენ ამ ქორწინებას საბედისწერო შედეგი არ მოჰყვეს.

„ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ (გაგვიბატონდნენ),"

მის გამო, დაასკვნის ავტორი, „ამ ფასდაუდებელი მემკვიდრეობის გადასარჩენად ისინი წავიდნენ კაცის მოკვლის საშინელებაზეც კი." ეს ასე მოხდა, მაგრამ მემკვიდრეობის გადასარჩენად კი არა, დიდი სიყვარულის გადასარჩენად.

ადამიანთა სულიერ ცხოვრებას, პავლე მოციქულის აზრით", ღვთის განგებით წარმართავს: „სარწმუნოებაი, სასოებაი და სიყვარული". იქვე ბრძანებს: „უფროის ამათსა სიყვარული არს." აქედან მოდის რუსთაველის „სიყვარული აგვამაღლებს."

„რა არის უცენტრალურესი გმირების – ტარიელი და ნესტანი – მთავარი საქმე? სვამს კითხვას ავტორი და იქვე პასუხობს: „ეს ეჭვი ნურავის შეეპარება არის მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება. მათი მემკვიდრეობა კი იყო ინდოეთის ტახტი."

წარმოგიდგენიათ, ამ დიდებული რომანის გმირები თურმე მემკვიდრეობისათვის და ინდოეთის ტახტისათვის იბრძვიან და მოიპოვებენ კიდევაც მას.

ასეთ პრიმიტიულ დონეზე ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის" დაყვანა სრულიად წარმოუდგენლად მიმაჩნია, თითქოს ისინი მოლიერის რომელიღაც გმირები იყვნენ და მათთვის სიყვარული მეორეხარისხოვანი იყოს. არადა პოემა ხომ სიყვარულისა და მეგობრობის აპოთეოზია და „უცენტრალურესი" საკითხიც ეს არის. ისინი სიყვარულის გადარჩენისათვის იბრძვიან, დანარჩენი კი მეორეხარისხოვანია. ავტორს ვურჩევ კარგად წაიკითხოს პოეზიის და სიყვარულის შესანიშნავი ნიმუში, საგალობელი. „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი." თქვენ წარმოიდგინეთ და მემკვიდრეობა არსად არ არის ნახსენები.

,,სახელმწიფოებრივი ანუ კონსტიტუციური აზროვნების ძებნა პოემაში ვის მოუვიდოდა აზრად თუ არა სამართალმცოდნეს. თუმცა ამ ჰიპოთეზასაც აქვს არსებობის უფლება.

ილია ჭავჭავაძე ბრძანებს: „ქართველმა ერმა მას, „ვეფხისტყაოსანს", შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია სული და გული, ჩააწნა თავისი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი და გრძნობანი" და განა შეიძლება ჩვენი სალოცავი საუნჯე სადევგმირო, სატრფიალო და მემკვიდრეობისათვის ბრძოლად ჩავუთვალოთ?

კლიმენტი სუთიაშვილი,
ისტორიკოსი.

- უჩვეულო პროფესიები -

თამარ ლომიძე - 40 წელი ამწეს მემანქანე

როგორც ხედავთ, მარაგი არ გველევა, ჩვენო მკითხველო, იმ უნიკალური პროფესიისა და გასაოცარი შესაძლებლობების მქონე ადამიანებისა, ნიჭიერი ხელოვანებისა თუ წარმატებული ახალგაზრდებისა, რომელიც ჩვენს რაიონში

აღმოვაჩინეთ, გაგაცანით და შთაბეჭდილებებიც გაგიზიარეთ. დღეს გიამბობთ ქალბატონზე, დედაზე, ბებიაზე, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, სავაგონო დეპოს ხიდიანი ამწეს მემანქანეა. ქალის შესაძლებლობები უსაზღვროა, რასაც ქალბატონი თამარ ლომიძე უკვე მრავალი წელია თავისი, ერთი შეხედვით კაცური პროფესიით, ამტკიცებს. ამ შეხვედრას დიდი ხანი ვგეგმავდით და ვესტუმრეთ სამუშაო საათებში. დავათვალიერეთ მისი ამწეს კაბინა, 10 მეტრის სიმაღლიდან ყველაფრის დასანახად გამჭრიახ გონებასა და ყოვლისმჭვრეტელ თვალებს იშველიებს. დილის 9 საათიდან, სამსახურში მეტალის კონსტრუქციებს ებრძვის, საღამოს, სახლში კი – შვილიშვილების ცელქობას. გამოჩენილი ნებისყოფის და პროფესიონალიზმის წყალობით, აგერ უკვე 40 წელია ღირსეულად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას. ვრცლად მისი პროფესიის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ.

- ქალბატონო თამარ, მოგვიყევით თქვენი, ქალისათვის ასეთი არაორდინალური პროფესიის შესახებ...

– ჩემი პროფესია, პირველ რიგში, სიფრთხილეს მოითხოვს, საჭიროებს კარგ მხედველობას, სმენას. ძალიან საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ადამიანების სიცოცხლესთან გვაქვს საქმე, გადასაზიდია მძიმე, მრავალტონიანი ტვირთი, რისთვისაც სრული მობილიზაციაა საჭირო, მთელი დღის განმავლობაში. წამიერმა მოდუნებამ და ყურადღების გაფანტვამ შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

- რამდენი წელია ამ საქმით ხართ დაკავებული?

– რკინიგზაში მოვედი 1978 წელს. სულ რაღაც, ცხრამეტი წლის გახლდით და მას შემდეგ ჩემი პროფესია ხიდური ამწეს მემანქანეობაა. მამაჩემი რკინიგზელი იყო, სალოკომოტივო დეპოში მუშაობდა, სკოლა რომ დავამთავრე, მითხრა, რომ უნდა დამეწყო ამ პოზიციაზე მუშაობა. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, გამიკვირდა, ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ამას ემატებოდა გამოცდილების უქონლობა, ვშიშობდი კიდეც, თუმცა თავი გავართვი და დღესდღეობითაც, ვაგრძელებ მუშაობას.

- რა შეგრძნებები და ემოციები გახსენდებათ, თავდაპირველად, ამ საქმესთან შეჭიდებისას?

– როდესაც პირველად მიმიყვანეს ამწესთან, არასაიამოვნო შეგრძნება მქონდა, თავადაც და გარშემომყოფებიც გაკვირვებულები იყვნენ, როგორ უნდა გამერთვა თავი ამ საკმაოდ რთული საქმისთვის, თუმცა შევეჩვიე, ალღო ავუღე და თითქმის 40 წელია ამ პოზიციაზე ვარ. ასე ვთქვათ, მოსწავლედ გამოცდილ ამწეს მემანქანეს მივებარე, რომელმაც შემასწავლა მართვა, ერთი თვე პრაქტიკებზე ვიარე, შემდგომ გამოცდა ჩავაბარე და ოფიციალურად შევუდექი საქმეს. ამ გამოცდებს ყოველ წელიწადს ვაბარებთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. შიშის შეგრძნება მქონდა, მუდმივად დაძაბული ვიყავი მრავალტონიანი ვაგონების ტვირთვის დროს, თუმცა, დროსთან და გამოცდილებასთან ერთად, ყოველივე ეს, შედარებით, გაიოლდა.

- თუ გაიხსენებთ შემთხვევას, როდესაც კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა სამუშაოს შესრულების დროს?

– ამ საქმის კეთებისას ნებისმიერ მომენტში შეიძლება სახიფათო სიტუაცია შეიქმნას. გავიხსენებ ერთ შემთხვევას, ერთხელ, ვაგონს ვტვირთავდი, რომელიც თითქმის ტონანახევარი იყო, ღერძი ამოვარდა კაუჭადან და ძირს დაეცა, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია ამ შემთხვევას, თუმცა, მსგავსი შიში და ნერვიულობა არასდროს გამომიცდია. საფრთხე ყოველ წუთშია – ვერ განსაზღვრავ.

- რა თანმდევი სირთულეები ახლავს ამ პროფესიას? თქვენი ოჯახის წევრები რა პოზიციისანი არიან თქვენ სამსახურთან დაკავშირებით?

– შეიძლება ითქვას, რომ ქალისთვის განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს. ჩვენ, ქალები უდიდესი ნებისყოფით გამოვირჩევით, რომელიც საჭიროა ამ საქმეში. პატივსცემას ვიღებთ როგორც უფროსებისგან, ასევე თანამშრომლებისგან. სიმართლე გითხრათ, სხვა საქმისთვის მომეკიდა ხელი, არც მიცდია. მიუხედავად ჩემი პროფესიის სირთულისა, სადამდეც შევძლებ მუშაობას, იქამდე ვიმუშავებ. მყავს ორი შვილი და შვილიშვილები და როდესაც საღამოს ექვს საათზე სახლში ვბრუნდები, ჩვეულებრივი დედა, ბებია და დიასახლისი ვარ.

თ. ახალკაცი

დაათვალიერეს ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობები

შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილემ, სიმონ გულედანმა აპარატის უფროსთან, ნათია ანთელავასთან ერთად ხაშურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა. ამჟამად მუნიციპალიტეტში სპორტული კომპლექსისა და მინი სტადიონების მშენებლობა, ხოლო დაბა სურამში საკანალიზაციო სისტემების მოწყობა მიმდინარეობს. სპორტკომპლექსისა და მინი სტადიონების მშენებლობა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდმა დააფინანსა. სტადიონები 100 000 ლაზე მეტი, ხოლო კომპლექსი 2 მილიონ ლარზე მეტი ჯდება და მშენებლობა 2017 წელს დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ ეს სპორტკომპლექსი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ქვეყნის მუნიციპალიტეტებს შორის არსებულ მსგავს ნაგებობებს შორის. ჩვენი სასპორტო სკოლა, თავისი აღზრდილებით და მათი მიღწევებით, მუდამ მოწინავეთა შორის იყო და, ბუნებრივია, როდესაც ახალგაზრდა სპორტსმენების განკარგულებაში ევროპული დონის ინფრასტრუქტურა ჩადგება, მათი შედეგები კიდევ უფრო გაუმჯობესდება. რაც შეეხება სურამში, გოგოლაძეების უბანში მიმდინარე საკანალიზაციო სისტემების მოწყობას, თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო, რამაც 83 000 ლარზე მეტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიმეტრზე კანალიზაციის სისტემა აქამდე არ არსებობდა და პირველად ხორციელდება მსგავსი ტიპის სამუშაოები. პროექტი მიმდინარე წლის ივნისში დასრულდება.



- სპეციალისტი გვირჩევს -

ვაზის მოვლა ვეგეტაციის პერიოდში

მიმდინარე წელი ჭირვეული აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებისთვის, რამაც თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა ვაზზეც. ამის გამო, მეტი ყურადღებით უნდა მოხდეს ვენახში აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება.

გაზაფხულზე, კვირტების გაშლამდე უნდა ჩატარდეს ნიადაგის გაფხვიერება. კვირტების გაშლიდან ყლორტების ზრდის პერიოდში, 4-6 ფოთლის ფაზაში, უნდა ჩატარდეს პირველი მწვანე ოპერაცია, უნდა შევაცალოთ შტამბზე და მრავალწლიან ნაწილებზე გამოსული უნაყოფო ყლორტები, საჭიროების

შემთხვევაში, ყლორტები ავახვიოთ. ამავე დროს, უნდა შეიწამლოს ჭრაქის, ნაცრისა და ტკიპების წინააღმდეგ კომპლექსურად. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ სისტემური ფუნგიციდი, მიკალი ან რიდომილი ჭრაქზე. ტოპაზი ან ფალკონე - ნაცარზე და რომელიმე აკარიცდი - ტკიპებზე.

ყვავილობის დაწყების წინ, უნდა აიხვეს ყლორტები და კვლავ შევაცალოთ ზედმეტი ყლორტები. შეწამლა უნდა ჩატარდეს ისევ სისტემური ფუნგიციდებით მიკალით, რიდომილით, პოლირამით ან სხვა რომელიმე პრეპარატით ჭრაქზე, ტოპაზით ან ფალკონეთი - ნაცარზე.

ყვავილობის პერიოდში, თავი უნდა შევიკავოთ რაიმე აგროტექნიკური ღონისძიების ჩატარებაზე, თუ ეს აუცილებელი არ არის. აუცილებლობის შემთხვევაში ჭრაქსა და ნაცარზე, შეიძლება შეწამვლა 0,08% ქვადრისით.

ყვავილობის დამთავრების შემდეგ, მარცვლის გამო ხორბლის ფაზაში (როდესაც მარცვალი მიაღწევს ხორბლის მარცვლის სიმსხოს), უნდა ჩატარდეს მწვანე ოპერაცია - ნამხრევების შეცლა, შტამბზე და მრავალწლიან ნაწილებზე ამონაყარი ყლორტების შეცლა და ყლორტების ახვევა. უნდა შეიწამლოს სისტემური პრეპარატებით (მიკალი, რიდომილი, პოლირამი, ფალკონე, ტოპაზი).

მარცვლის დამსხვილების დამთავრების შემდეგ, უნდა აიხვეს ყლორტები, შეეცალოს ნამხრევები და შეიწამლოს ნაცარზე და ჭრაქზე კონტაქტური პრეპარატებით (ხსნადი შაბიამანი, სველებადი გოგირდი). ყურძნის შეთვალების დასაწყისში, 10-15 აგვისტომდე, ვენახში ტარდება საბოლოო ახვევა ნამხრევების შეცლით, ამავე დროს, უნდა ჩატარდეს „ცის გახსნა“. „ცის გახსნა“ ტარდება მოუმწიფებელი ყლორტების მწვანე ნაწილების წაწყვეტით.. ამავე პერიოდში ტარდება ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ წამლობა კონტაქტური პრეპარატებით (შაბიამანი ანუ ცისფერი ბორდო და სველებადი გოგირდი). ამით მთავრდება მწვანე ოპერაციები და წამლობა ვენახში. თუ კლიმატური პირობების გამო, ნაცარი ან ჭრაქი ისევ გამოჩნდა, აუცილებლად უნდა შეიწამლოს კონტაქტური პრეპარატებით.

მთელი ვეგეტაციის პერიოდში, მაისიდან აგვისტოს ჩათვლით, ვენახში ტარდება ნიადაგის გაფხვიერება და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა მოთხოვნილების მიხედვით.

ალექსანდრე ლოლაშვილი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

მე-12 კლასებში საატესტატო გამოცდები დასრულდა

დასრულდა მე-12 კლასის საატესტატო გამოცდები. როგორც განათლების მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ განაცხადა, 11 000 მოსწავლემ ზღვარი ვერ გადალახა, მათში მოიაზრებიან ის მოსწავლეებიც, ვინც გასულ წელს ჩაიჭრა, წელსაც გავიდა გამოცდაზე და წელსაც ვერ გადალახა ზღვარი. მოსწავლეთა რაოდენობა 40–50 ათასამდე შუალედში იყო. როგორც აღმოჩნდა, ეს შედეგი შარშანდელის ანალოგიურია, ინფორმაცია დაზუსტების პროცესშია, თუმცა, რადიკალურ ცვლილებებს სტატისტიკის კუთხით, არ ელოდებიან. ხოლო, რაც შეეხება ჩვენს მუნიციპალიტეტს, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი რიცხვი აქაც არ გვაქვს, როგორც საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ზვიად გოგუაძემ გვითხრა, სიტუაციაა იგივეა, გასულ წელთან შედარებით, ჩაჭრილ მოსწავლეთა რიცხვი არ გაზრდილა, მათი საერთო რაოდენობა წელსაც 3-5 % შეადგენს. ხოლო იმ მოსწავლეებს, რომლებმაც ატესტატი ვერ მიიღეს, ავტომატურად ერთმევათ ეროვნულ გამოცდებზე მონაწილეობის მიღების უფლება.

ბრძა - ძალადობას

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანომ - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, 2017 წელი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის წლად გამოაცხადა და გეგმავს ქვემდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის სემინარების და ტრენინგების ჩატარებას

თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მოტივით, ისეთ თემებზე, როგორიცაა „ბულინგი/მობინგი“ „დისკრიმნაცია“, „ოჯახში ძალადობა“,„ნარკოტიკული დანაშაულების ანალიზი“, „სუბკულტურები საქართველოში“, „ნაადრევი ქორწინება“და სხვ.

ტრენინგები და სემინარები, რომლებიც დაკავშირებულია მოსწავლეთა ჩართულობასთან, დაიგეგმება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, რაშიც სკოლის მიერ შერჩეული„ლიდერი მოსწავლეები“ გაუწევენ დახმარებას.

ამ მომენტისთვის, ინიციატივის ფარგლებში, „ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა უფლებების დაცვისთის„ პროექტის ფარგლებში რესურსცენტრის უფროსის მ.შ ზვიად გოგუაძის მიერ განხორციელდა ორი აქტივობა, კერძოდ, სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის № 2 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ჩატარდა სემინარი თემაზე „სასკოლო ძალადობა“, ხოლო სსიპ ქალაქ ხაშურის 1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ტრენინგი თემაზე „ნაადრევი ქორწინების სამართლებრივი ასპექტები“.

გარდა ამისა, პროექტის „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში, რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთის რესურსცენტრის ორგანიზებით ხორციელდება ვიდეო რგოლების კონკურსი - „მოზარდები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“.

მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მოტივით, სკოლების მიერ შერჩეულ „ლიდერებთან“ განხორციელდება სამუშაო შეხვედრები და მათი მონაწილეობით დაიგეგმება სემინარები და ტრენინგები ზემოხსენებულ თემებზე.

-სკრინინგული კვლევები -

C ჰეპატიტი განაჩენი არ არის

სახელმწიფო და ჯანდაცვის სამინისტო აქტიურად ახორციელებს C ჰეპატიტთან ბრძოლის სხვადასხვა პროგრამებს, რომელიც დაავადების თავდაპირველ ეტაპზე გამოვლენას და შემდგომ

უკვე, მის შესაბამის მკურნალობას გულისხმობს. ამისათვის, მნიშვნელოვანია C ჰეპატიტის, როგორც ვირუსული ინფექციის, საწყის ეტაპზე გამოვლენა, რადგან გამოჯანმრთელების შესაძლებლობა საკმაოდ მაღალია. ამასთან დაკავშირებით, ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, სისტემატურად ახორციელებს მოსახლეობის ინფორმირებულობას (სხვადახვა აქციებით) და ლაბორატორიულ კვლევებს-ტესტირებას. ამჯერად, სხვადასხვა სამსახურებში გასვლა და ადგილზე შემოწმება გადაწყვიტეს. ერთ-ერთი ლოკაცია ხასურის მუნიციპალიტეტი აღმოჩნდა.

როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა, დავით ჩიქოვანმა გვითხრა:

–ეს არის C ჰეპატიტის ხუთწლიანი სახელმწიფო პროგრამა, რომელიდან გამომდინარეც ხდება სკრინინგული კვლევები. ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთი წლის განმავლობაში,თითქმის ყოველთვიურად ჩამოდიოდა ლაბორატორია და ატარებდა ტესტირებას, რაც ზრდის C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენისა და წარმატებული მკურნალობის შანსს. დაავადების კონტროლის ცენტრმა მოგვმართა თხოვნით, ჩვენ ჩაგვეტარებინა ეს კვლევები, მოგვამარაგეს შესაბამი სამედიცინო ინვენტარით. რადგან დღეს არსებობს დროის უქონლობის დეფიციტი, გადავწყვიტეთ, ჩვენვე შევსულიყავით დიდ ორგანიზაციებში, ვიყავით ხაშურგაზში, სოკარში, სამომავლოდ, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ვაპირებთ შესვლას. გარდა ამისა, გამოვაცხადებთ გარკვეულ დღეებს, როდესაც მოსახლეობას შეეძლებათ მიიღონ ჩვენი მომსახურება. ლაბორატორიულ კვლევებს, ამ შემთხვევაში ტესტირებას, ატარებენ ჩემი სამსახურის ექიმ-ლაბორანტები. რაც შეეხება პროცედურას, ძალიან მარტივია, ანალიზის აღებიდან დაახლოებით 15 წუთში გვაქვს პასუხი, რომლის სანდოობა დაახლოებით 80-90%-ია. ამის შემდეგ, რისკ ჯგუფის მქონე ადამიანებს ეძლევათ მიმართვა

და იგზავნებიან სამედიცინო ჯანდაცვის ცენტრებში, სადაც უკვე ხდება საფუძვლიანი კვლევა. დადასტურების შემთხვევაში, ერთვებიან სამკურნალო პროგრამაში, რომლის მინიმალური ვადა 3 თვეს მოიცავს, დაახლოებით 98%-იანი განკურნების შანსით. კვლევები უფასო არ არის, ხოლო დადასტურებული შემთხვევების კვლევას მუნიციპალიტეტი იღებს საკუთარ თავზე.

ერთწლიანმა კვლევებმა აჩვენა, რომ დაავადების გავრცელების მაჩვენებელი ჩვენს მუნიციპალიტეტში 8-10 %-ია, აქედან, თითქმის გათანაბრებულია მამაკაცებისა და ქალების ავადობის შემთხვევების თანაფარდობა. მნიშვნელოვანია, ჩვენი სწორი მიდგომა და დამოკიდებულება, რადგან C ჰეპატიტი განაჩენი არ არის!

პროექტი - „ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა უფლებების დაცვისათვის" - მოქმედებაში

ხაშურის 1 საჯარო სკოლაში გაიმართა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა

უფლებების დაცვისათვის" ფარგლებში ხაშურის 1, მე-4 და სურამის მე-2 საჯარო სკოლების საგანმანათლებლო პროექტების პრეზენტაციები და დახურვის ღონისძიება.

სკოლებმა წარმოადგინეს შემდეგი პროექტები:

- ხაშურის 4 საჯარო სკოლა - „შენ გწადს აწ რომელითა"
- ხაშურის 1 საჯარო სკოლა - „ადრეული ქორწინება- ბედნიერება თუ პრობლემების თაიგული"
- სურამის მე-2 საჯარო სკოლა - „არა - ძალადობას"

ღონისძიება გახსნეს ზემოაღნიშნული სკოლების დირექტორებმა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ შესაბამისი სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები, სხვა სკოლების დირექტორები, ხაშურის რესურს-ცენტრის წარმომადგენლები, საზოგადოება „ბილიკისა" და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს" თანამშრომლები.

პრეზენტაციების დროს, წარმოდგენილი იყო პროექტების ფარგლებში დაგეგმილი და მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა მონაწილეობით განხორციელებული აქტივობები.

პრეზენტაციების ბოლოს სკოლების პროექტებში მონაწილე აქტიური მოსწავლეები დააჯილდოვეს.

პრეზენტაციების პარალელურად, გაიმართა შიდა ქართლის მასშტაბით ორგანიზებული კონკურსის „ცხოვრება ძალადობის გარეშე" ფარგლებში შექმნილი ნამუშევრების წარდგენა. კონკურსის მიზანი იყო ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ შიდა ქართლის სკოლების მოსწავლეთა მიერ თავიანთი დამოკიდებულების გამოხატვა თემატური სლოგანების, ნახატების, ესეების, ფოტოების, ფილმების შექმნის გზით და ასევე მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა. ჩატარდა ფოტო და ნახატების გამოფენა, სლოგანებისა და ესეების წარდგენა და ფილმების ჩვენება. კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ წიგნებითა და სპეციალური პრიზებით.

შეხვედრა ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცი" შემოქმედებით ჯგუფთან

გასულ კვირას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში, გაიმართა შეხვედრა ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ პირველი მხატვრული ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცის" შემოქმედებით ჯგუფთან.

შეხვედრის თემა : „გახდი ქველმოქმედი და ფილმ „ექვთიმეს" მხარდამჭერი" .

რეჟისორმა – ნიკოლოზ ხომასურიძემ აღნიშნა,რომ ფილმის შექმნა უმნიშვნლოვანესი მომენტია, რადგან ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება ნამდვილად უნდა იქნას გაცოცხლებული მხატვრულ ფილმში და ის აუცილებლად უნდა ნახოს ყველა ასაკის ადამიანმა, განსაკუთრებით კი მოზარდმა თაობამ.

ფილმის არაოფიციალური „თრეილერისა" და რამდენიმე სცენის ნახვის შემდეგ, შედგა განხილვა და საუბარი, დამსწრე საზოგადოებამ აღნიშნა, რომ ისინი გახდებიან ქველმოქმედნი და მხარს დაუჭერენ ფილმის დასრულებას.

გურამ დოჩანაშვილი - ხაშურში

ხაშურში, გაზაფხულის ფერადი დღესასწაული, თანამდროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწერლის გურამ დოჩანაშვილის სტუმრობით დაგვირგვინდა. ღონისძიება მუსიკალური სკოლის დარბაზში გაიმართა, რომელიც წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის დირექციის ორგანიზებით და ხაშურ-სურამის ეპარქიის მეუფე სვიმეონის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა.

სკოლის მოსწავლეებმა საოცარი დეკლამატორებით მოუთხრეს მსმენელს მწერლის ავტობიოგრაფიის საინტერესო დეტალები. თავად მწერალმა კი თავისი ბოლო წიგნზე „ბრმად ყოფილი და...” ისაუბრა. აღსანიშნავია ისიც, რომ მწერალი წიგნის შექმნის პერიოდში სამების ლავრაში ცხოვრობდა. დოჩანაშვილის ახალ თხზულებას საფუძვლად უდევს სახარებისეული თემა ბრმად ყოფილის შესახებ. „სამოსელი პირველის“ შემდეგ ეს მწერლის, სახარებისეულ თემაზე აგებული მორიგი ნაწარმოებია.

- ხელოვნება -

საინტერესო სპექტაკლი

31 მაისს, ხაშურის თოჯინების თეატრში, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატორული თეატრის მსახიობი იზა ვეფხვაძე საავტორო სპექტაკლით „მოყვასისთვის შეწირულები” წარსდა მაყურებლის წინაშე. სპექტალი 4 უდიდესი ქართველი მოღვაწის მიხეილ თამარაშვილის, გრიგოლ ფერაძის, იოსებ ჟორდანიას და მამა ილია კარტოზიას ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ მოუთხრობდა მაყურებელს. ქალბატონი იზას საოცარმა სამსახიობო შესრულებამ მ

აიმსახურა მაყურებლისგან. თეატრის დასი ხაშურ-სურამის ეპარქიის მეუფე სვიმეონის მოწვევითა და ლოცვა-კერთხევით ჩამოვიდა. ხაშურ-სურამის ეპარქია რიგით მეათეა სადაც დასი ამ სპექტაკლით სტუმრობდა.

-რაგბი-

სურამის ,,მგლები" ჩემპიონატს ლიდერობენ

რვა თამაში და რვავე მოგება – ასეთია რაგბში, საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში, „ბ” ჯგუფის სანუგეშო ეტაპზე მოასპარეზე, სურამის „მგლების” შედეგი. გუნდისთავის, რომელიც სულ რაღაც ორი წლის შექმნილია, ეს მართლაც შესანიშნავი შედეგია და ამაში, რა თქმა უნდა, უდიდესი დამსახურება გუნდის მწვრთნელს კახა აბრამაშვილს მიუძღვის. საოცარია, რომ ეს ბავშვები ყოველივე ამას ასეთ პირობებში ახერხებენ. ყველას მოეხსენება, სამწუხაროდ, რა დღეშია სურამის სტადიონი, სადაც,

ფაქტობრივად, თითქმის უვარგისი მოედანია და არც გასახდელები აქვს. ცხელ წყალზე(თუნდაც ცივზე) ხომ ოცნებაც ზედმეტია. ეს ახალგაზრდა რაგბისტები და მათი დაუღალავი მწვრთნელი კი ენთუზიაზმის და რაგბის უდიდესი სიყვარულით ასეთ შედეგს დებენ.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, აქტიურად მუშაობენ ამ საკითხზე, უახლოეს მომავალში სტადიონზე გასახდელები და საშხაპეები მოეწყობა. მომავალ წელს კი მოედნის პრობლემაც გადაწყდება. ამის შემდეგ კი, ამ გუნდისაგან უკვე „ა” ჯგუფში წარმატებებსაც ველით.

28.მაის	კლუბი ქალაქი	თ	მ	ფ	წ	+პ	+ნ	-დ	გატ:გაშ	სხვ	ქ
1	მგლები სურამი (ზ3)	8	8	0	0	5	0	0	243: 39	204	37
2	დინოზავრი წყალტუბო (თ3)	8	7	1	0	5	0	0	279: 22	257	35
3	ბაგრატი ქუთაისი (ე3)	8	6	0	2	4	0	0	211:110	101	28
4	საჩხერე (თ4)	7	5	0	2	3	1	0	193: 60	133	24
5	რუხი აია ქუთაისი (ზ4)	7	4	0	3	2	1	0	96: 81	15	19
6	ტაო (თ6)	8	4	0	4	2	1	0	81:116	-35	19
7	გელათი ტყიბული (ვ3)	8	4	0	4	2	0	0	150:130	20	18
8	ლეგიონი ხაშური (თ5)	7	4	0	3	1	0	0	82: 95	-13	17
9	არგო ვანი (ე4)	8	3	0	5	1	1	0	94:194	-100	14
10	ზუგდიდი (ზ5)	7	2	0	5	1	1	0	86:164	-78	10
11	ჩაქვი (ე5)	8	1	1	6	0	3	0	63:103	-40	9
12	ოზურგეთი (ვ4)	8	3	0	5	3	1	8	157:117	40	8
13	ზესტაფონი (ზ6)	8	2	0	6	1	1	5	64:170	-106	5
14	თეთრი აია ქუთაისი (ვ5)	8	0	0	8	0	0	0	0:398	-398	0

მადლობა სოფლის სახელით

პატარა ფლევი ერთ-ერთი ლამაზი სოფელია ხაშურის მუნიციპალიტეტში. აქ მცხოვრები გამრჯე და მშრომელი ხალხი ყოველთვის ახერხებდა, რომ სოფელი ღონიერი ყოფილიყო და არ დაეკარგა ქართული ტრადიციები. მიუხედავად იმისა, რომ ამ სოფელს ბევრი სირთულეებისთვის გაუძლია და ერთობლივი ძალით დაუძლევია კიდეც, მაინც უძლურნი არმოვჩნდით ფაქტის წინაშე, როდესაც სოფლის ერთადერთი წყარო დაშრა და სოფელი, ფაქტობრივად, სასმელი წყლის გარეშე დარჩა. მართალია, მეზობელმა სოფელმა გაგვიმართა ხელი, მუნიციპალიტეტის ცენტრიდანაც მოდიოდა წყლის ავზით სავსე მანქანა და ამით გაგვქონდა თავი, მაგრამ მაინც დიდი სირთულის წინაშე ვიდექით ყველა. უწყლოდ დარჩენილი სოფელი ხომ , საბოლოოდ, დაცლისთვისაა განწირული. თუმცა, ჩვენს გასაჭირს გულგრილი არ დაუტოვებია მუნიციპალიტეტის და ადგილობრივი ხელმძღვანელობა და მათი ძალისხმევით ეს პრობლემა გადაიჭრა. ახლა სოფლის ყველა მცხოვრებს საკუთარ ეზოებში აქვთ ონკანი. სულ ცოტა ხნის წინ ეს ჩვენთვის ოცნების სფერო იყო.

გვინდა, თანადგომისა და დახმარებისთვის, მადლობა გადავუხადოთ მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გურასპაშვილს და ადგილობრივი თვითთმართველობის რწმუნებულს როინ ცხოვრებაძეს. მათი წვლილი მართლაც დიდია, რომ პატარა ფლევმა თითქოს ახალი სიცოცხლე დაიწყო.

სოფლის მცხოვრებთა სახელით,
ქეთევან ტეფნაძე, ინგა მიშველიანი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.